



**საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია**
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

**შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“
ახალი სათაო ოფისის შენობის
საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვის**

(CPV-71320000-საინჟინრო-საპროექტო მომსახურება)

საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2013 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება	3
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
3. დამატებითი ინფორმაცია	9
4. დანართი N1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	10
5. დანართი N2, კონკურსანტის შეთავაზება	11
6. დანართი N3, ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის შესახებ	12
7. დანართი N4, ტექნიკური დავალება	13
8. დანართი N5, თანამშრომელთა განლაგების პირობითი სქემა	14

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ აცხადებს კონკურსს საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ახალი სათაო ოფისის შენობის საინჟინრო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

1. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:** შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 125 000 (ასოცდახუთი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (მათ შორის ექსპერტიზის ხარჯი) და გადასახადის გათვალისწინებით.
2. **დაფინანსების წყარო:** შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთარი სახსრები.
3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა :** ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2013 წლის 30 აგვისტომდე.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი 2013 წლის 30 აგვისტომდე შემსყიდველს წარუდგენს ახალი სათაო ოფისის შენობის სრულ პროექტს, ხოლო დანართი N4-ის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ ნებართვებსა და ტექპირობებს კონკურსანტი წარადგენს არაუგვიანეს 2013 წლის 15 სექტემბრისა.

4. **მონაწილეობის საფასური:** საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5. **საკონკურსო წინადადებების მიღება:** კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 08 ივლისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ცენტრალური ოფისი, მე-2 სართული, შესყიდვების დეპარტამენტი.
6. საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება - 2013 წლის 08 ივლისის 12:00 საათზე.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. **დალუქული პაკეტი უნდა შეიცავდეს:**
 - 8.1 გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა დანართი N4-ით განსაზღვრული ინფორმაციის გათვალისწინებით შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზური პროექტის ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატზე, მისი ელექტრონული ვერსია (CAD და JPEG ფორმატში) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:
 - ▶ საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;
 - ▶ სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით;
 - ▶ არქიტექტურული კონცეფციის განმარტებითი ბარათი;
 - ▶ მინიმუმ 10 რენდერი სხვადასხვა ხედით, მათ შორის 2 ინტერიერისა და 2 ექსტერიერის ღამის ხედით.

არქიტექტურული კონცეფცია და მისი შინაარსი წარმოადგენს ძირითად პირობას საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად. კონკურსანტმა, კონცეფციის განმარტებით ბარათში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, სადაც განხილული იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენტის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.

- 8.2 აფიდავიტი (ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ) დანართი N1-ს მიხედვით.
- 8.3 კონკურსანტის შეთავაზებას (პრეტენდენტის რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს ჩათვლით (ციფრობრივად და სიტყვიერად), პროექტის განხორციელების ვადა დანართი N2-ის მიხედვით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში.
- 8.4 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული მინიმუმ 3 მსგავსი რეალიზებული პროექტის (საოფისე ან ადმინისტრაციული შენობა) მითითებით (ხელშეკრულების საგნის, დამკვეთის და მისი საკონტაქტო პირის ტელეფონის მითითებით) დანართი N3-ის მიხედვით. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები, ექსპერტიზის დასკვნები, და მიღება-ჩაბარების აქტები.
- 8.5 ტექნიკური დავალება (ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ) დანართი N4-ს მიხედვით.
9. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება. ამასთან, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
12. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
14. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია - ესკიზური პროექტი	0,5
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0,3
3	კონკურსანტის გამოცდილება	0,1
4	პროექტის განხორციელების ვადა	0,1
	სულ:	1.0

შენიშვნა: კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

15. ანგარიშსწორების წესი

- 15.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 15.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე. (ავანსის შემთხვევაში ავანსად გადახდილი თანხის სრული დაქვითვით).
- 15.3 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“ სახელშეკრულებო თანხის 30%, ამავე თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

16. მომსახურების გაწევის პირობები

- 16.1 გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე საკონკურსო პირობებს და დანართი N4-ში მოცემულ მახასიათებლებს.
- 16.2 მიმწოდებლის მიერ საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 30 აგვისტოსი.

- 16.3 პროექტის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ოფისი.
- 16.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის 4 (ოთხი) ეგზემპლარი ქართულ ენაზე და 1 (ერთი) ეგზემპლარი ინგლისურ ენაზე, ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით.
- 16.5 მიმწოდებელი ვალდებულია მომზადებულ პროექტს საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა, (შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა).
- 16.6 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთარღიცივო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან არსებული დოკუმენტაციის კორექტირების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთარღიცივო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.
17. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის (მისი დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და გაუწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სათაო ოფისის შენობის საინჟინრო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევა. (CPV-71320000).
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოების ტექნიკური დავალება მოცემულია დანართ N___-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მოსახურების გაწევის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების დასახელება, ღირებულება, ჯამური თანხა, ხარისხობრივი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს კომპანიის პროექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელი.

4. ანგარიშსწორების პირობები

- 4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე. (ავანსის შემთხვევაში ავანსად გადახდილი თანხის სრული დაქვითვით).
- 4.3 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“ სახელშეკრულებო თანხის 30%, ამავე თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

5. ფასები

- 5.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
- 5.2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (მათ შორის ექსპერტიზის ხარჯი) და გადასახადის გათვალისწინებით.
- 5.3 ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
- 5.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6. მომსახურების გაწევის პირობები

- 6.1 გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და დანართი N_ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.
- 6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 30 აგვისტოსი.
- 6.3 პროექტის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ოფისი.
- 6.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის 4 (ოთხი) ეგზემპლარი ქართულ ენაზე და 1 (ერთი) ეგზემპლარი ინგლისურ ენაზე, ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით.
- 6.5 მიმწოდებელი ვალდებულია მომზადებულ პროექტს საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა, (შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა).
- 6.6 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთარღიცივო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა ან არსებული დოკუმენტაციის კორექტირების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთარღიცივო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს (პროექტირების დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმომადგენლები) უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა პირობებით.
- 7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების გამოსწორება.
- 7.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი პირები.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 8.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

- 8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
- 10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 11.1 შემსყიდველს უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ:
- 11.1.1 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს საქონლის ან მისი ნაწილის მიწოდება;
- 11.1.2 მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 11.1.3 შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- 11.1.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- 11.1.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს,

გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17. გადასახადები და დაბეგრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

2. დამატებითი ინფორმაცია

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ;

საკონტაქტო პირი: ნანა გახოკიძე
ტელეფონი: +995 5 77 38 11 37; +995 32 2919060 (150)
ელ.ფოსტა: n.gakhokidze@water.gov.ge

საკონტაქტო პირი: დავით ქოჩიაშვილი
ტელეფონი: +995 5 77 38 00 37; +995 32 2919060 (122)
ელ.ფოსტა: d.kochiashvili@water.gov.ge

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი “კონკურენტი” აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- o საკონკურსო წინადადების ფასი;
- o საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- o საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- o ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
- o შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა _____

კონკურსანტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული ფოსტა:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	საკონკურსო წინადადების ფასი:	
3.	პროექტის განხორციელების ვადა:	

კონკურსანტის ხელმოწერა -----

ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული მინიმუმ 3 რეალიზებული პროექტის მითითებით

კონკურსანტის დასახელება: _____

N	გაწეული მომსახურების დასახელება	ვადები		დამკვეთი/საკონტაქტო პირის ტელეფონი	გაწეული მომსახურების ღირებულება	შენიშვნა
		დასაწყისი	დასასრული			
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
.						
.						
.						
.						
n						

კონკურსანტის ხელმოწერა _____

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ახალი სათაო ოფისის შენობის საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. არქიტექტურული ნაწილი;
3. სიტუაციური გეგმა;
4. გეოლოგიური დასკვნა;
5. კონსტრუქციული ნაწილი;
6. სპეც-საინჟინრო ნაწილი (შიდა და გარე ელექტრომომარაგება, შიდა და გარე წყალმომარაგება-წყალარინება, სუსტი დენები, გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონირება, სახანძრო სიგნალიზაცია);
7. გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება;
8. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
9. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
10. სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
11. ნებართვები, დაკავშირებული ქალაქის მუნიციპალიტეტთან, პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვა, ტექპირობები (კომუნიკაციები, გაზმომარაგება, ელ-მომარაგება, წყალმომარაგება-წყალარინება, ინტერნეტ-ქსელი, სატელეფონო ქსელი)

***ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა წარმოდგენილია დამკვეთის მიერ.**

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ახალი სათაო ოფისის შენობის განთავსება გათვალისწინებულია ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 09/107), მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.10. 18. 009.107

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული კონცეფცია (მხატვრული მხარეში უნდა იკითხებოდეს კომპანიის ძირითადი საქმიანობა, კერძოდ, ქვეყნის წყალმომარაგება), ვიზუალი და კონცეფციის განმარტებითი ბარათი. ზემოაღნიშნული უნდა გაერთიანდეს და წარმოდგენილ იქნას ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:

- ▶ საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;
- ▶ სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით;
- ▶ არქიტექტურული კონცეფციის განმარტებითი ბარათი;
- ▶ მინიმუმ 10 რენდერი სხვადასხვა ხედით, მათ შორის 2 ინტერიერისა და 2 ექსტერიერის ღამის ხედით.


არქიტექტურული კონცეფცია და მისი შინაარსი წარმოადგენს ძირითად პირობას საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად.

კონკურსანტმა, კონცეფციის განმარტებით ბარათში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, სადაც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.

კონკურსანტის ხელმოწერა _____

ღანართი №5 თანამშრომელთა განლაგების ჰირობითი სქემა.

წარმოდგენილ ცხრილსა და ესაიხში მოცემული თანამშრომლების განლაგების სავარაუდო განაწილების ანგარიში (რომელიც ექვემდებარება ცვლილებას, სავარაუდო ანგარიშის მოსაზრების შესაბამისად). რომელიც წარმოადგენს უწყების განლაგების სავარაუდო სქემას არის ჰირობითი და სკოტირებული.



შენიშვნა: ტექნიკური საინჟინერო და დაცვითი განყოფილება დაგეგმულია, პროექტირების პერიოდში.
წარმოდგენილი შენობის ესაიხში ჰირობითია და მისი არქიტექტურული მხარე და სართულების რეკონსტრუქცია არ წარმოადგენს დაგეგმვის სავარაუდო მოთხოვნას

#	სართული	დეპარტამენტი	თანამშრომლების რაოდენობა	დირექტორი	დირექტორის მოადგილე	დეპარტამენტის უფროსი	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	სამმართველოს უფროსი	სპეციალისტი	ჯამი მ ²
1	V	ადმინისტრაცია	17	1	5				11	406
2	V	პროექტების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	9			1	1		7	122
3	V	უსაფრთხოებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	15			1	2	2	12	179
4	V	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	5			1		1	3	61
5	V	ადამიანური რესურსები	11			1	1		9	115
6	IV	იურიდიული დეპარტამენტი	6			1		2	3	76
7	IV	ადრინისტრაციული და რეაქციის დეპარტამენტი IV სართული	16			1		4	11	152
8	IV	ბილინგის დეპარტამენტი	36			1		5	30	310
9	III	ფინანსური დეპარტამენტი	37			1		5	31	317
10	III	შესყიდვების დეპარტამენტი	12			1		1	10	110
11	II	სავარაუდო დეპარტამენტი	20			1		1	18	156
12	II	მენეჯერებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი	29			1	1	1	26	242
13	II	ტექნიკური დეპარტამენტი	19			1	1	4	13	151
14	II	ენერჯეტიკული დეპარტამენტი	7			1			6	67
15	I	ინფორმაციული ტექნოლოგიები	13			1	1		11	122
16	I	სატრანსპორტო და სამეურნეო დეპარტამენტი	32			1		2	29	258
17	I	კანცელარია	3					1	2	29
ჯამი			287							2893

შენიშვნა: თანამშრომელთა განთავსების ჰირობითი ალაგობის განლაგების სკოტირებული ფართობი.

1. დირექტორი-120მ² (აბინები, მოსასვენებელი, სან. ჰანები)
2. დირექტორის მისაღები-50მ² (სან. ჰანები, დახმარება სართულში)
3. დირექტორის პირველი მოადგილე- 50მ² (აბინები, მოსასვენებელი, სან. ჰანები)
4. პირველი მოადგილის მისაღები-30მ² (სან. ჰანები, დახმარება სართულში)
5. დირექტორის მოადგილეთა-40მ² (აბინები, მოსასვენებელი, სან. ჰანები)
6. მოადგილის მისაღები-15მ²
7. დეპარტამენტის უფროსი-25მ²
8. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-20მ²
9. სამმართველოს უფროსი-15მ²
10. სპეციალისტი-7მ²
11. მთავალისწინებელი იქნას ყველა დეპარტამენტისთვის 20მ² სათავისო ოთახი.
12. სასაბუღალტრო -50მ²
13. სასაბუღალტრო-50მ²
14. დაცვა-30მ²
15. სასაბუღალტრო სართული | სართულზე და სარეაქციო 200მ²
16. ავტო სასადილო | სართულზე -300მ²
17. თანამშრომელთა სარეკრეაციო ზონა 400მ²
18. ავტო ფარეხი (ხელმძღვანელთა-სადილის სართულზე)
19. მინიმუმ 2 აბინის უწყობი
20. 2 ლიფტი თანამშრომელთათვის და 1 ლიფტი ხელმძღვანელებისათვის.
21. სასაბუღალტრო ოთახი მენეჯერული აბინის უწყობი
22. მთავალისწინებელი იქნას სასაბუღალტრო აბინის მოწყობა
23. სასაბუღალტრო ტერიტორიაზე ოთახი 2 მართვითი ავტო სარეაქციო ოთახი